| ქვეპროგრამისდასახელება | კოდი | სახურავების, სადარბაზოების და სხვა რეკონსტრუქცია შეკეთების ღონისძიებები | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 02 05 01 | | 4593,05 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შექმნილი საერთო პრობლემების გადაჭრის მიზნით ამხანაგობების მიერ წამოჭრილი თემების განხილვის შედეგად, საკრებულოს მიერ მიღებული წესის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების პრინციპით - ნაწილობრივ მოსახლეობის რესურსების გამოყენებით დაფინანსდება სახურავების, სადარბაზოების და სხვ. რეკონსტრუქცია - შეკეთების ღონისძიებები. განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების (კორპუსების | | |

| | |
|---|---|
| | რაოდენობა 60) ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები და სხვა. 2020 წლის 15-16 ივლისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა. სტიქიის, მ.შ. ხანძრების შედეგად დამწვარი საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ახალი სახურავების მოწყობა და სხვა. ქ. თელავში, დუმბაძის ქ.N17-ში დ N19-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების ნაწილობრივი რეაბილიტაცია და სხვა. დაფინანსდება წინა წლებში შესრულებული სამუშაოებიდან დაკავებული საგარანტიო თანხების ანაზღაურება, 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების და საზედამხედველო მომსახურების ანაზღაურება.<br>მიზანი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება; |

| პროგრამის დასახელება | კოდი | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 02 06 | | 1192,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის განხორციელებისას შეძენილი იქნება საწვავი ისეთი მექანიზმებისათვის როგორიც არის გრეიდერი, ექსკავატორი, ბულდოზერი, ავტო თვითმცლელი და სხვ რომლებიც შეასრულებენ სხვადასხვა სახის სამუშაოებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაუთვალისწინებელ და განსაკუთრებულ შემთხვევაში, აგრეთვე დაფინანსდება სასმელი წყლის „სოკოების " მიერ მოხმარებული წყლის ანაზღაურება | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის ღონისძიებები | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 02 06 01 | | 387.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: საწვავის შეძენა ისეთი მექანიზმებისათვის, როგორიც არის გრეიდერი, ექსკავატორი, ბულდოზერი, ავტო თვითმცლელი და სხვ რომლებიც შეასრულებენ სხვადასხვა სახის სამუშაოებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაუთვალისწინებელ და განსაკუთრებულ შემთხვევაში. განხორციელდება ქ. თელავში ყადორის ქუჩაზე არსებული კიბის მოაჯირის და განათების მოწყობა, ქ. თელავში ისტორიული ჭადრის ხის ფიტოსანიტარული და სხვადასხვა სახის საკონსულტაციო მომსახურება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის ბულდოზერ-ექსკავატორის შეძენისა და სხვა ღონისძიებები.<br>მიზანი: წარმოშობილი პრობლემების დროულად აღმოფხვრა, კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სასმელი წყლის „სოკო" | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 02 06 02 | | 5,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამით განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სასმელი წყლის სოკოების მოვლა-პატრონობა, მათ შორის მოხმარებული წყლის ღირებულების ანაზღაურება. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სრიგპ-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ღონისძიებები | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 02 06 03 | | 800,0 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორცილებელი პროექტების" ფარგლებში განსახორცილებელი ღონისძიებებისათვის საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა და 2021 წელს განსახორციელებელი სამუშაოების თანადაფინანსება და საზედამხედველო მომსახურება; პროექტის ფარგლებში იგეგმება ქ. თელავში ისტორიულ ძეგლებზე და ტურისტულ საინფორმაციო დაფებზე QR კოდების განთავსება, ქ. თელავის ქუჩების დამისამართება, სტანდარტიზაცია, საინფორმაციო დაფების მოწყობა, ქ. თელავის ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე ბაგა-ბაღის ბაზაზე ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი უნივერსალური დიზაინის საბავშვო ბაღის მშენებლობა და ეზოს კეთილმოწყობა, ქ. თელავში ალაზანი - კავკასიონის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგიონული მნიშვნელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა ინტეგრირებული აქტივობებისათვის, ქ. თელავში, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური სპორტული მოედნის და რეკრიაციული სივრცეების მოწყობა, ქ, თელავში, ისტორიული მნიშვნელობის წყაროების რეაბილიტაცია, ქ. თელავში, ჩოხელის და ზახტრიონის ქუჩებს შორის არსებული ხევის მიმდებარე ტერიტორიის ურბანული განახლება მრავალფუნქციური რეკრიაციული სივრცეების მოწყობით, ქ. თელავში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელების და საგზაო უსაფრთხოების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა და სხვა. ქვეპროგრამის განხორციელების მიზანია ქალაქ თელავის როგორც ურბანული ცენტრის სოციალური ეკონომიკური როლის გაძლიერება, ურბანული ტერიტორიების განვითარება. |

| პროგრამისდასახელება | კოდი | სარიტუალო ღონისძიებები | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 02 07 | | 57,82 |
| პროგრამისგანმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითიმოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისდა ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის განხორციელებისას დასუფთავდება და მოწესრიგდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოები. გატანილი იქნება სასაფლაოების ტერიტორიიდან სხვადასხვა სახის ნაგავი და გადაბელილი ხის ტოტები.<br>მიზანი: მოწესრიგებული სასაფლაოები. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სასაფლაოების მოვლა-პატრონობა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 02 07 01 | | 57,82 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის განხორციელებისას დასუფთავდება და მოწესრიგდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოები. გატანილი იქნება სასაფლაოების ტერიტორიიდან სხვადასხვა სახის ნაგავი და გადაბელილი ხის ტოტები.<br>მიზანი: მოწესრიგებული სასაფლაოები. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 02 08 | | 18.5 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის განხორციელებისას მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობა მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.<br>მიზანი: საზოგადოებრივი საპირფარეშოების ფუნქციონირება | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებები | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 02 09 | | 816,90 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ითვალისწინებს დასახლებაში დასახლებების საერთო კრებების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების და მასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებების დაფინანსებას.<br>მიზანი: დასახლების საჭიროებებიდან გამომდინარე ღონისძიებების განხორციელება. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 02 10 | | 169,18 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფ. ფშაველში კემპინგის მოწყობის სამუშაოების დასრულება და სხვა.<br>მიზანი: ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით კომფორტული გარემოს შექმნა; | | |

## 2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (კოდი 03 00)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები.

*ათას ლარში*

| კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა | 2021 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|
| | | სულ | სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსავლები |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1598.00 | 0.00 | 1598.00 |
| 03 01 | დასუფთავების ღონისძიებები | 1405.44 | 0.00 | 1405.44 |
| 03 02 | გარემოს დაცვის ღონისძიებები | 14.60 | 0.00 | 14.60 |
| 03 03 | პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები | 98.77 | 0.00 | 98.77 |
| 03 04 | მაწანწალა ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები | 79.20 | 0.00 | 79.20 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | დასუფთავების ღონისძიებები | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 03 01 | | 1405,44 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტში კომფორტული გარემოს შექნისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტერიტორიაზე სანიტარულ სისუფთავეს. პროგრამის განხორციელებისას მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ყოველდღიურად დაიგვება და დასუფთავდება ქალაქ თელავის ქუჩები. შეძენილ იქნება დამატებით 200 ცალი ნაგვის ურნა, სპეც. მანქანა და სხვა. აგრეთვე, განხორციელდება 2020 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით თვითმცლელი ავტომანქანების და ურნების შეძენის თანხების ანაზღაურება.<br>მიზანი: სუფთა გარემოს უზრუნველყოფა |

| პროგრამისდასახელება | კოდი | გარემოს დაცვის ღონისძიებები | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 03 02 | | 14,60 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საჭიროების შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამხმარი და საფრთხის შემცველი ხეების მოჭრა-ვარჯის ფორმირებისათვის ღონისძიებების დაფინანსება;<br>მიზანი: გამხმარი და საფრთხის შემცველი ხეების მოჭრა-ვარჯის ფორმირება, უსაფრთხო გარემოს შექმნა. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 03 03 | | 98,77 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა ითვალისწინებს დასასვენებელი პარკების, სკვერების და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობას. ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს მწვანე საფარი. სეზონური მცენარეებით დეკორატიულად გაფორმდება ქალაქის სხვადასხვა ტერიტორია. ჩატარებული იქნება სხვადასხვა სახის სამუშაოები (მწვანე საფარის გათიბვა, მწვანე ბალახის დაგროვება და გატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვლა,მწვანე ნარგავების მორწყვა, სეზონურად მოყვავილე ერთწლიანი ყვავილების დარგვა, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა და სხვა); მოვლა-პატრონობა გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში,<br>მიზანი: მოვლილი მწვანე ნარგავები და განახლებული მწვანე საფარი, ესთეტიური გარემოს შენარჩუნება - განვითარება | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | მაწანწალა ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 03 04 | | 79,20 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეთვალყუროდ დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში დროებით გადაყვანის და შესაბამისი მომსახურების გაწევის დაფინანსება/თანადაფინანსება.<br>პროგრამის მიზანია: მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. | | |

### 3. განათლება (კოდი 04 00)

სკოლამდელი განათლების განვითარების სისტემის სტრატეგიული მიზანია, სკოლამდელი აღზრდის სისტემა გახდეს სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ასევე,

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწას, კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალურ გამტარუნარიანობას და სხვა.სასწავლო-სააღზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას. განხორციელდება მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებები. აგრეთვე, აღსაზრდელებისთვის წლის განმავლობაში ჩატარდება სხვადასხვა, როგორც სპორტული ისე კულტურული ღონისძიებები.

| კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა | 2021 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|
| | | სულ | სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსავლები |
| 04 00 | განათლება | 7656.40 | 889.52 | 6766.89 |
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 5586.41 | 0.00 | 5586.41 |
| 04 02 | სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა | 1385.68 | 338.59 | 1047.09 |
| 04 03 | პროფესიული განათლების ხელშეწყობა | 133.38 | 0.00 | 133.38 |
| 04 04 | საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები | 550.93 | 550.93 | 0.00 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 04 01 | | 5586,41 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | თელავის მუნიციპალიტეტში 32 ბაგა-ბაღია. ბაღებში 116 ასაკობრივი ჯგუფია; დასაქმებულია 698 პირი. ამ ეტაპზე ხელმისაწვდომობა მაქსიმალურად უზრუნველყოფილია, რადგან მუნიციპალიტეტში 2-დან 6 წლამდე სულ 3130 ბავშვია. სრულად რეაბილიტირებულია 6 ბაგა-ბაღი, ნაწილობრივ რეაბილიტირებულია 13 ბაგა-ბაღი. ბაღებში ძირითადი გამოწვევებია ბავშვთა რაოდენობა ჯგუფებში, ჯგუფში პერსონალის შესაბამისობა ბავშვების რაოდენობასთან (13:1/15:1), დასაქმებული კადრის კვალიფიკაცია, ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. არსებული ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაციის და შტატების დამტების პირობებში, ასევე გადამზადების პროგრამების დაფინანსებით, აღნიშნული გამოწვევები ექვემდებარება დაძლევას. თელავის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ხელმისაწვდომია სკოლამდელი განათლების დაწესებულება, ხოლო ლეჩურიდან ხორციელდება აღსაზრდელთა ტრანსპორტირების დაფინანსება. 32 ბაღისთვის უნიფიცირებულია კვების სტანდარტის შესაბამისი მენიუ და ის სრულად შეესაბამება N 487 დადგენილებას. სასწავლო პროცესები დაქვემდებარებულია სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით მაქსიმალურად ხდება სასკოლო მზაობის უზრუნველყოფა. 2020 წელს გამოშვებული აღსაზრდელების 70% სრულად აკმაყოფილებს სასკოლო მზაობის პროგრამას. ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან (კარიტასი ჩეხეთი, სსიდა, ილიას უნივერსიტეტთან არსებულ ბავშვთა განვითარების ცენტრთან, მაკლეინის ასოციაციასთან, პორტიჯის ასოციაციასთან, ვოლდ ვიჟენთან). | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 04 02 | | 1385,68 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაღების უმეტესობა არის აშენებული საკმაოდ დიდი ხნის წინ, საბავშვო ბაღების შენობების ნაწილი არის ამორტიზირებული და საჭიროებს გადაუდებელ კაპიტალურ რემონტს. 2021 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდება ქ.თელავის N1, N 3, N5 ბაგა ბაღების რეაბილიტაცია, განხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში გათბობის სისტემების საქვაბეების შენობის გარეთ გატანის სამუშაოების და მისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა და სხვა. 2021 წელს გაგრძელდება 2 საბავშვო ბაღის - თელავის N1 ბაგა-ბაღის და სოფ. | | |

| | |
|---|---|
| | იყალთოში ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ქ. თელავში N9 ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია, სოფ. წინანდლის I საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, N2 ბაგ-ბაღის შენობის დემონტაჟი, ახლის მშენებლობის პროექტის მიზმა არსებულ მდგომარეობასთან. წლის მანძილზე გამოვლენილი ეკონომიების და დამატებით მოძიებული ფინანსებით მოხდება სხვა საჭირო ბაღების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებების განხორციელება; პროგრამის განხორციელების შედეგად, ბავშვებს შეექმნებათ უსაფრთხო გარემო, შეიქმნება მომავალი თაობისათვის გონებრივი და ზნეობრივი განვითარებისათვის სათანადო პირობები. აგრეთვე, დაფინანსდება შესრულებული სამუშაოებიდან დაკავებული საგარანტიო თანხების და 2020 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების და საზედამხედველო მომსახურების ანაზღაურება<br>მიზანი: აღზრდისა და განათლების დაწესებულებების არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 04 03 01 | | 133,38 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ააიპ თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში არსებულ წრეებში გაერთიანებული მოსწალეები იმაღლებენ განათლების დონეს. მეცადინეობები მოიცავს როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ნაწილს. ეს მათ ეხმარებათ პროფესიულ ორიენტაციაში. მასობრივ კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსწავლე ახალგაზრდები იმაღლებენ კულტურულ დონეს, ამავე დროს უყალიბდებათ ჯანსაღი ცხოვრების წესი -თავისუფალი დროის სწორედ გამოყენება. ფუნქციონირებს მათემატიკის, ინგლისურის, ქართული ლიტერატურის, ხატვის, დიზაინის, თექის, კულინარიის, ხაზვის, ჭადრაკის, სიმღერის, ფანდურის, ცეკვის, თეატრალურის, რუსული ენის, ფოტოხელოვნების წრეები და კერამიკის შემსწავლელი კურსები. მოსწავლე ახალგაზრდები მონაწილეობას იღებენ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის , მუნიციპალიტეტის ღონისძიებებში, ფესტივალებში. პროგრამა ითვალისწინებს მასტერკლასებს, სასწავლო შემეცნებითი მიზნით ექსკურსიებსა და ლექციებს სხვადასხვა თემებზე, ხელს უწყობს მოსწავლე ახალგაზრდებს შორის შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლება-განვითარებას. თეატრალური კულტურისა და დისციპლინის პროპაგანდას. წრეობრივი მუშაობა გათვლილია მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერესებზე. წრეობრივი მუშაობა მოიცავს როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს, რაც მათ ეხმარებათ პროფესიულ ორიენტაციაში. უზრუნველყოფილია სოციალურად დაუცველ და შშ პირთა უფასო მომსახურება. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 04 04 | | 550,93 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვა. საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის ღონისძიებები.<br>განხორციელდება 2020 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების ანაზღაურება<br>მიზანი: საჯარო სკოლებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა. | | |

## 4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00)

თელავის მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავებას, სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობას, მონაწილეობის მიღებას რესპუბლიკურ ღონისძიებებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განახლება.

| კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა | 2021 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|
| | | სულ | სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსავლები |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 4982.29 | 233.71 | 4748.58 |
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 2374.03 | 233.71 | 2140.33 |
| 05 01 01 | სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 922.27 | 233.71 | 688.57 |
| 05 01 02 | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 1376.26 | 0.00 | 1376.26 |
| 05 01 03 | სპორტული ღონისძიებები | 75.50 | 0.00 | 75.50 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 2156.20 | 0.00 | 2156.20 |
| 05 02 01 | კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა | 2043.00 | 0.00 | 2043.00 |
| 05 02 02 | კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 30.00 | 0.00 | 30.00 |
| 05 02 03 | კულტურული ღონისძიებები | 83.20 | 0.00 | 83.20 |
| 05 03 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 165.20 | 0.00 | 165.20 |
| 05 03 01 | ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება | 69.20 | 0.00 | 69.20 |
| 05 03 02 | ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა | 96.00 | 0.00 | 96.00 |
| 05 04 | ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 40.00 | 0.00 | 40.00 |
| 05 05 | ძეგლთა დაცვის ღონისძიებები | 11.44 | 0.00 | 11.44 |
| 05 06 | დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა | 235.42 | 0.00 | 235.42 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სპორტის სფეროს განვითარება | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 01 | | 2374.03 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განახლება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა შეკრებებისა განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ასევე, წარმატებული სპორტსმენების წახალისება.<br>მიზანი: სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| | 05 01 01 | | 922.27 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, ფიზიკურად ძლიერი და ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობის აღზრდის ხელშეწყობა. განხორციელდება ქ.თელავში ჭადრაკის სახლის (ცაბაძის ქ.N5) რეაბილიტაციისათვის გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების და საზედამხედველო მომსახურების ანაზღაურება, დაფინანსდება წინა წლებში შესრულებული სამუშაოებიდან დაკავებული საგარანტიო თანხების ანაზღაურება და სხვა. განხორციელდება სოფ. ყარაჯალაში მინი საფეხბურთო სტადიონის მოწყობა. ქ. თელავში ზ. სვიმონიშვილის ქუჩაზე არსებული კრივის დარბაზის იატაკის რეაბილიტაცია. ქ. თელავში, სოფ. ართანაში და სოფ. რუისპირში ხელოვნურსაფარიანი მინი მოედნების მოწყობა. წლის მანძილზე გამოვლენილი ეკონომიების და დამატებით მოძიებული ფინანსებით მოხდება სხვა ღონისძიებების განხორციელება;<br>მიზანი: ბავშვთა და მოზარდთა სპორტის განვითარებისათვის სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 | | 1376,26 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება, ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი, ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავი, ააიპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განახლება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა შეკრებებისა განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ასევე, წარმატებული სპორტსმენების წახალისება, ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება, ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი, ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავი, ააიპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი,<br>მიზანი: სპორტული ორგანიზაციების გამართული ფუნქციონირება, შეჯიბრებებში და ტურნირებში მონაწილეობა | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 01 | | 180,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ჩოგბურთის სპორტული ჯგუფების რაოდენობის გაზრდა, ადგილობრივი, ქვეყნის და საერთაშორისო ტურნირების ორგანიზება და მხარდაჭერა, წარმატებული სპორტსმენებისთვის, სხვადასხვა რანგის ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა, შშმ პირთა სპორტში ჩართულობა და ინტეგრირება, სასწავლო დაწესებულებებში ბავშვთ სექციების ორგანიზება სპორტული (ჩოგბურთის) ორიენტაციის განვითარების ხელშეწყობისთვის. წარმატებული სპორტსმენების აღჭურვა შესაბამისი სპორტული ინვენტარით და მათი წახალისება, მწვრთნელ-მასწავლებელთ კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა, საქართველოს ასაკობრივი ნაკრები გუნდებისთვის კანდიდატების მომზადება,<br>ჩოგბურთის მეცადინოებებში ჩართულია 132 მოზარდი | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ თელავის საფეხბურთო სკოლა „თელავი“ | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 02 | | 251,36 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ თელავის საფეხბურთო სკოლა „თელავი“ | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ბავშვთა ჩართულობა სპორტში, შესაბამისი სპორტული ინვენტარით აღჭურვა, ორგანიზაციის გამართული ფუნქციონირება, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „თელავი“ ჩართულია 420-440 მოზარდი, |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 03 | | 589,9 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სპორტულ კლუბთა გაერთიანება ახორციელებს წლიური საწვრთნელი პროცესის დაგეგმვას და ორგანიზებას,ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული სექციები, სადაც წლის განმავლობაში ჩართულია დაახლობით 570 -600 მოზარდი: რაგბი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, კალათბურთი, ხელბურთი, მხატვრული ტანვარჯიში, ფრენბურთი, ბილიარდი, სპორტული ტირი. სპორტულ კლუბთა გაერთიანებაში ჩართული მოზარდები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ტურნირებსა და შეჯიბრებებში, საქართველოს მასშტაბით, ხდება სპორტის სახეობების მიხედვით პერსპექტიული სპორტსმენების მომზადება, ეროვნული ნაკრები გუნდების წევრობის ან წევრობის კანდიდატობისათვის, მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა, მონაწილეობის მიღება სხადასხვა რანგის შეჯიბრებებში და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 04 | | 355,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ჭიდაობის სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული სახეობები: მკლავჭიდი, კრივი, კარატე, ძიუდო. სკოლის მიზანია გუნდების ჩამოყალიბება, შესაბამისი სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა, მონაწილეობის მიღება სხადასხვა რანგის შეჯიბრებებში და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში. მასობრივი და სამოყვარულო ღონისძიების ორგანიზება | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული ღონისძიებები | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 01 03 | | 75,5 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლბში ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას, საერთაშორისო ხასიათის სპორტული ტურნირების ჩატარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: „იცხოვრე სპორტით“ -თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობენ ოლიმპადაში სპორტის შემდეგ სახეობებში : ფეხბურთში, კალათბურთში, სირბილში ( დიდ და მცირე დისტანციებზე) სიმაღლეზე ხტომაში, ბერინრინგში, ძიუდოსა და მაგიდის ჩოგბურთში. სასკოლო - სპორტული ოლიმპიადა - თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო სკოლის მოსწავლეები იღებენ სასკოლო ოლიმპიადაში მონაწილეობას, სპორტის 7 სახეობაში. სპორტი ბარიერების გარეშე. ქეპროგრამით გათვალისწინებულია აგრეთვე, კახეთის რეგიონში ქართული ჭიდაობის აღორძინებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით თანადაფინანსება, თელავის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების და სპორტული კლუბების წევრი, მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწრთვნელების წახალისება ფულადი ჯილდოებით.<br>მიზანი: მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სპორტის სახეობების პოპულარიზაცია, სპორტული და ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით მოყვარულების და სპორტსმენების მეტი რაოდენობის ჩართულობის უზრუნველყოფა ღონისძებებში. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | კულტურის სფეროს განვითარება | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| | 05 02 | | 2126,2 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის  კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის თელავის №1 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ქ. თელავის N2 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება", ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და  შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები. სხვადასხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების ჩატარება. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში  ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 02 01 | | 2043,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის  კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის თელავის №1 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ქ. თელავის N2 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება", ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსდება და ფუნქციონირებს კულტურული ორგანიზაციები რომლებიც ახორციელებენ კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობას და სხვა | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 01 | | 120,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მეშვეობით განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძებები. შემოქმედებითი კოლექტივების არსებული სასცენო კოსტიუმების განახლება, მოცეკვავეთა გადამზადების პროგრამის შექმნა და გაუმჯობესება თანამედროვე ტენდეციების გათვალისწინებით. ანსამბლის ბაზაზე არსებული სკოლა-სტუდია, სადაც 6 წლიდან ბავშვები შეისწავლიან ქორეოგრაფიულ საწყისებს, სამომავლოს მათი ჩამოყალიბება პროფესიონალ შემსულებლებად.  მიზანი: ქართული საცეკვაო ხელოვნების პროპაგანდა. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ-სკოლისგარშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ნიკო სულხანიშვილის თელავის #1სამუსიკო სკოლა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 02 | | 125,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ-სკოლისგარშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ნიკო სულხანიშვილის თელავის #1სამუსიკო სკოლა | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | თელავის #1სამუსიკო სკოლაში სწავლობს 129 მოსწავლე შემდეგ განყოფილებებზე: საფორტეპიანო, საგუნდო, სიმებიანი (გიტარა, ვიოლინო) სოლო სიმღერა, კლასიკური ვოკალი (ესტრადა), ფოლკლორი. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ფესტივალ-კონკურსებში, ხდებიან ლაურეატები, ჯილდოვდებიან სიგელებით.<br>ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; მონაწილეობის მიღება კულტურული ღონისძიებებში  ფესტივალებში, კონკურსებში. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების  თელავის #2 სამუსიკო სკოლა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 03 | | 116,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების  თელავის #2 სამუსიკო სკოლა | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ▪ ზოგადი მუსიკალური განათლების მიცემა - ხელოვნების კონკრეტული  სახეობების(ფორტეპიანო, ვიოლინო, გიტარა, ხალხური საკრავები, სიმღერა, ფოლკლორი) დაუფლებაზე  ორიენტირებული მომზადება .<br>▪ ადგილობრივ  და  რესპუბლიკურ  ფესტივალ -კონკურსებში მონაწილეობით და სხვა აქტივობებით განსაკუთრებული  ნიჭით დაჯილდოვებული  მოსწავლეების გამოვლენა.<br>▪ წარმატებული  მოსწავლეების  წახალისება  და ხელშეწყობა<br>▪ ზრუნვა კლასიკური მუსიკის და ფოლკლორის  პოპულარიზაციასა და  სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.<br>სკოლაში სხვადასხვა განყოფილებებზე სწავლობს 134 მოსწავლე | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 04 | | 90,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სკოლაში ამჟამად სწავლობს 102 მოსწავლე, ისწავლება შემდეგი საგნები: ფერწერა, კომპოზიცია, ძერწვა, ხელოვნების ისტორია, ანიმაცია. ანიმაციის სწავლება არის სიახლე, რაც რამდენიმე წლის წინ დაინერგა სკოლაში, ხდება ანიმაციის საფუძვლების შესწავლა, მარტივი კლიპების და ფილმების შექმნა.  ანიმაციის შესწავლის ხელშეწყობის მიზნით,სწავლება ხორციელდება როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაფარეულში, სკოლის მოსწავლეები  მონაწილეობა სღებულობენ სხვადასხვა კონკურსებსა თუ ფესტივალებზე. სკოლის მიზანია სასკოლო ასაკის ბავშვებისთის (12-16 წელი) დაწყებითი სამხატვრო განათლების მიღება ხელოვნებასთან ზიარების თანაბარი პირობების შექმნით ხელი შეუწყოს პიროვნების ინდივიდუალურ შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებას,კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას მოსწავლეების ზიარებას ხელოვნების საფუძვლებთან. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება" | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 05 | | 289,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება" | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | საბიბლიოთეკო გაერთიანების შეუფერხებელი ფუნქციონირება უზრუნველყოფს:<br>• საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა–დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა;<br>• საცნობარო–ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა;<br>• საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის (წიგნებისა და ჟურნალ–გაზეთების ელექტრონული კატალოგები, ელექტრონული წიგნები, ჟურნალ–გაზეთების სტატიების კართოთეკების  შექმნა და სრულყოფა, ელექტრონული პროგრამების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა და სრულყოფა,  კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;<br><br>• მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერენეტით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;<br>• საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბასად.<br>ყოველწლიურად ხორციელდება წიგნადი ფონდის განახლება.<br>ბიბლიოთეკებში დარეგისტრირებულია 19580 მკითხველი, ყოველწლიურად გაიცემა დაახლოებით 315500 საბიბლიოთეკო ერთეული.<br>მიზანი: მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის ასაკობრივი, პროფესიული ინტერესის, სკოლამდელი და სასკოლო ასაკის პირების ლიტერატურული ინტერესების დაკმაყოფილება. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ - ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 06 | | 998,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის   ფარგლებში თელავის  კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების    მეშვეობით  ხალხური შემოქმედების ფოლკლორულ – ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის ძიება და პოპულარიზაცია,   ხალხური ხელოვნების    მოვლა, დაცვა და განვითარება. შემოქმედებითი კოლექტივების არსებული სასცენო კოსტუმების განახლება.  თელავის მუნიციპალიტეტში მოქმედი ხალხური შემოქმედების, მხატვრული თვითშემოქმედების,   ფოლკლორული ჯგუფების შემოქმედებითი გაერთიანების, თვითნასწავლი მხატვრების,  რეწვის ოსტატების  და სახალხო მთქმელების ხელშეწყობა და კვალიფიკაციური კონსულტაციების გაწევა.  ხალხური შემოქმედების პოპულარიზაცია როგორც საქართველოში,  ისე მის ფარგლებს გარეთ.  კულტურულ – საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა, სხვადასხვა კულტურული აქტივობების  ორგანიზება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. კულტურის  ცენტრში გაერთიანებული საშემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა-წახალისება (კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, კოსტუმირება, გასტროლი და სხვა მოტივაცია); სახელოვნებო დარგის სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები. მათი შემოქმედების განვითარებისათვის კულტურის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა.• ღვაწლმოსილ მოქალაქეთა განვლილი გზის განზოგადება და დაფასება (იუბილეები, შეხვედრები, ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და  ა.შ. )<br>მუნიციპალური ანსამბლების პოპულარიზაციის და განვითარების მიზნით  გასტროლები ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, ქართული კულტურის პოპულარიზაცია და თელავის როგორც ამ კულტურის ტრადიციის მატარებელი ქალაქის გაცნობა ქვეყნის გარეთ და რეგიონში. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | (ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 08 | | 60,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | კულტურის და დასვენების პარკების გაერთიანება "ნადიკვარი"  ადგილობრივ მოსახლეობას და უცხო ქვეყნიდან ჩამოსულ დამსვენებელს  სთავაზობს კომფორტულ გარემოს.  ბავშვების გართობას შესაფერისი დონის ატრაქციონებით,  ხორციელდება აგრეთვე  სკვერის სეზონური დეკორატიული ყვავილების გაშენება განახლება. მარადმწვანე ბუჩქების და ხემცენარეების მოვლა პატრონობა.<br>მიზანი: დამსვენებლებისათვის კომფორტული გარემოს შექმნა | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 09 | | 66.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სამუსიკო სკოლა საქმიანობს შესაბამისი ადმინისტრაციით და 11 პედაგოგის მეშვეობით 83 მოსწავლისათვის. ბოლო წლების განმავლობაში ყოველწლიურად იზრდება მოსწავლეთა კონტინგენტი, რადგან სკოლაში ყველანაირი პირობაა შექმნილი მუშაობისათვის, ასევე სკოლაში არის უფასო სწავლება, რითაც ბავშვებიც და მშობლებიც კმაყოფილები არიან. სკოლაში გვაქვს საფორტეპიანო, საორკესტრო(ფლეიტა) და ხალხური საკრავების (ფანდური) განყოფილებები. სკოლა ფუნქციონირებს მოზარდი ახალგაზრდობის კულტურული განვითარებისათვის, სადაც ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები. ყოველივე ზემოაღნიშნულის განხორციელება და სკოლის ფუნქციონირება მოითხოვს სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგთა და ტექ. პერსონალის დაფინანსებას. სკოლის მიზანია შენარჩუნდეს არსებული მდგომარეობა და ხელი შეეწყოს მის მომავალ განვითარებას და გამრავალფეროვნებას, მათ შორის ახალ ინიციატივებს, რომლის მეშვეობითაც გაიზრდება მოსახლეობის ინტერესი კლასიკური მუსიკისადმი და მოხდება მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 10 | | 122,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | წინანდლის სამუსიკო სკოლა ემსახურება სოფ. ვანთის,,ბუშეტის ,ქვემო ხოდაშნის და წინანდლის მოსწავლეებს. სწავლობს 127 მოსწავლე, სწავლა მიმდინარეობს სხვადასხვა სპეციალობებზე: საფორტეპიანო,ვიოლინო,საგუნდო,ვოკალი და სოლო სიმღერა,ხალხური საკრავები ( ფანდური), გალობა. სკოლაში არსებობს კლასიკური გუნდი სადაც -23 მოსწავლეა,ხალხურ საკრავთა გუნდი-14 მოსწავლე, ფოლკლორული გუნდი-16 მოსწავლე და მგალობელთა ტრიო. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 11 | | 57,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სკოლაში ხორციელდება შემდეგი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამები: საფორტეპიანო, საორკესტრო, საესტრადო, ხალხური ტრადიციური მუსიკა,ხალხური საკრავები, ხელოვნების(ხატვა, ფერწერა, ხელოვნების ისტორია) განყოფილებები. სკოლის სრული კონტიგენტია 101 მოსწავლე. სკოლის მიზანია ხელი შეუწყოს მომავალი თაობის მუსიკალურ განვითარებას მათ შორის ახალ ინიციატივებს რომლის მეშვეობითაც გაიზრდება მოსწავლეების ინტერესი და ჩართულობა. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 02 02 | | 30,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. თელავში საბავშვო ბიბლიოთეკის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შეძენისათვის და სოფ. აკურაში სამუსიკო სკოლის შენობაში სველი წერტილის და კიბის უჯრედის მოწყობისათვის და სხვა.<br>მიზანი: კულტურის ობიექტების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | კულტურული ღონისძიებები | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 02 03 | | 83,2 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის  კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს , კულტურულ ღონისძიებების, სახელოვნებო და საგანმანათლებლო ინიციატივების, კონცერტების გამოფენების, ფესტივალების და სხვადასხვა კულტურული თუ საგანმანათლებლო აქტივობების ხელშეწყობას წლის განმავლობაში, პროგრამის მიზანია მასობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს  განვითარება და პოპულარიზაცია. საზოგადოების ჩართულობა მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 03 | | 165,2 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის  კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:<br>1. რა?!სად?!როდის?! - ინტელექტუალური თამაში: ,, რა?!სად?!როდის?!“ - ტარდება ყოველწლიურად თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის.<br>2. ახალგაზრდული საახალწლო შეხვედრა - წლის ბოლოს შემაჯამებელი შეხვედრა ახალგაზრდებთან. გამოვლენა და დაჯილდოვება აქტიური ახალგაზრდების.<br>3. ახალგაზრდული პროექტები -  ახალგაზრდების ინიციატივების მხარდაჭერა და მათი დაინტერესება, რათა აქტიურად იყვნენ ჩაბმულები, შემეცნებით-საგანმანათლებლო და სხვადასხვა ღონისძიებებში.<br>4. ექსკურსია -  სხვადასხვა შემეცნებითი ექსკურიების, ლაშქრობების, ბანაკების  მოწყობა ახალგაზრდებისათვის.<br>5, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა<br>პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თელავის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, რათა მათ მოახდინონ  საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და აქტიურად იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 03 01 | | 69,2 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის  კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:<br>1. ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობა - ღონისძების განხორციელება ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღებასა და  დაგეგმვის პროცესში ახალგაზრდების რაოდენობის ზრდას, ახალგაზრდებში დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის, ორგანიზების უნარების პრაქტიკის დაუფლებას.<br>2. ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? - ღონისძიება ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდებს  შორის რა? სად? როდის? ინტელექტუალური ტურნირების ჩატარებას.<br> 3. საახალწლო ახალგაზრდული შეხვედრა.<br> 4. ექსკურსია -  სხვადასხვა შემეცნებითი ექსკურიების, ლაშქრობების, ბანაკების  მოწყობა ახალგაზრდებისათვის..<br>პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თელავის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, რათა მათ მოახდინონ  საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და აქტიურად იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 03 02 | | 96,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერია | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | თვითთმმართველობის განხორციელებაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზედებს ჰქონდეთ პლატფორმა, რომელიც საშუალებას მისცემს ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე დააყენონ მათთვის საჭირო ინიციატივები, რომელთა შერჩევაც მოხდება კონკურსის საშუალებით.<br>ქვეპროგრამის მიზანია: ახალგაზრდების გააქტიურება და მათი ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორცილების პროცესში, მათი ნოვაციოური და ინფრასტრუქტურული ინიციატივების მხარდაჭერა. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 04 | | 40,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა - ჟურნალ „ოლე“-ს და „საქართველოს მოამბე“-ს გამოცემისათვის თანადაფინანსება. აღნიშნული პროგრამის განხორცილებით ხდება თელავის მუნიციპალიტეტში მოღვაწე მწერლების და პუბლიცისტების ნაწარმოებების გამოქვეყნება, დამწყები მწერლების გაცნობა საზოგადოებისათვის. პროგრამის მიზანია თელავის მუნიციპალიტეტში არსებული მხატვრულ-პუბლიცისტური გამომცემლობის ხელშეწყობა | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ძეგლთა დაცვის ღონისძიებები | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 05 | | 11,44 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის განხორციელება ორიენტირებულია საინფორმაციო ბაზის გამდიდრებაზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების გამოვლენაზე, შესწავლაზე, გადარჩენასა და შენარჩუნებაზე, ასევე კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებას როგორც ეკონომიკური წინსვლის ფაქტორი მუნიციპალურ დონეზე. 2021 წელს დაგეგმილია კულტურული მემკვიდერობის ძეგლების მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების ღონისძიებები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ საგამომცემლო ღონისძიებების განხორცილება და სხვა.<br>პროგრამის მიზანია: კულტურული მემკვიდერობის ძეგლების შესწავლა, გადარჩენა, შენარჩუნება. ასევე კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებას როგორც ეკონომიკური წინსვლის ფაქტორი მუნიციპალურ დონეზე. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 05 06 | | 235,42 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 2020 წელს გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით ქ. თელავში კულტურისა და დასვენების პარკ „ნადიკვარ“-ზე არსებული ფანჩატურების და ტერასების რეაბილიტაციაზე შესასრულებელი სამუშაოების და საზედამხედველო მომსახურების ანაზღაურება, ამფითეატრის გადახურვის სამუშაოებიდან დაკავებული საგარანტიო თანხების ანაზღაურება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვა და სხვა. | | |

## 5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის

მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება. განხორციელდება მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და ფართით უზრუნველყოფა, პროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

| კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა | 2021 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|
| | | სულ | სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსავლები |
| 06 00 | ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 3305.66 | 64.85 | 3240.81 |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 461.34 | 64.85 | 396.48 |
| 06 01 01 | ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი | 140.00 | 0.00 | 140.00 |
| 06 01 02 | ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებები | 321.34 | 64.85 | 256.48 |
| 06 02 | სოციალური დაცვა | 2844.33 | 0.00 | 2844.33 |
| 06 02 01 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 36.00 | 0.00 | 36.00 |
| 06 02 02 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება | 357.80 | 0.00 | 357.80 |
| 06 02 02 01 | საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმპ შვილების სოციალური დაცვა | 7.80 | 0.00 | 7.80 |
| 06 02 02 02 | სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება | 350.00 | 0.00 | 350.00 |
| 06 02 03 | უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება | 633.00 | 0.00 | 633.00 |
| 06 02 04 | ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა  დაკრძალვის ხარჯები | 10.00 | 0.00 | 10.00 |
| 06 02 05 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 217.00 | 0.00 | 217.00 |
| 06 02 06 | ვეტერანთა საზოგადოება | 4.00 | 0.00 | 4.00 |
| 06 02 07 | მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, კომუნალურ გადასახადებზე და თხევადი აირით დახმარების ღონისძიებები | 129.00 | 0.00 | 129.00 |
| 06 02 08 | დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები | 100.00 | 0.00 | 100.00 |
| 06 02 09 | სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები | 40.00 | 0.00 | 40.00 |
| 06 02 10 | სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები | 1224.43 | 0.00 | 1224.43 |
| 06 02 11 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 80.00 | 0.00 | 80.00 |
| 06 02 14 | 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარება | 1.80 | 0.00 | 1.80 |
| 06 02 15 | საქართველოს წითელი ჯვრის თანადაფინანსება | 11.30 | 0.00 | 11.30 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ჯანმრთელობის დაცვა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 06 01 | | 461,34 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიმართულია ადამიანის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის კონტროლისა და გაუმჯობესებისაკენ. პროგრამა უზრუნველყოფს მოსახლეობის ყველა ფენისათვის იმ შეგნების ჩანერგვას, რომ აუცილებელია საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის გზით. ამ პროგრამის მთავარი მიზანი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის მიღწევა და მოსახლეობაში ჯანმრთელი კონტიგენტის ხვედრითი წონის მატებაა. აგრეთვე მისი მიზანია ადამიანთა ფიზიკური და ფსიქიური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლისა და შესაბამისად კონტროლის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობის გზით, აგრეთვე მათი აღჭურვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. აღნიშნულის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“, რომლის მიზანია თვითმმართველობის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, მოსახლეობისათვის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა. აგრეთვე ხორციელდება სამედიცინო დაწესებულებების რეკონსტრუქციისა და შეკეთების ღონისძიებები. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 06 01 01 | | 140,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდეზამხედველობა, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკის წარმოებისთვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება კომპეტენციის ფარგლებში. ჯანმრთელობის რისკ–ფაქტორებზე მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს.კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან, გარემოს, შრომის, სასმელი წყლის, საკვების უსაფრთხოების დაცვის ხელშეწყობა კომპეტენციის ფარგლებში. ჯანმრთელობის ადვოკატირება, მოსახლეობაში საინფორმაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა, სოციალური მობილიზაციის ხელშეწყობა და საჭიროების შემთხვევაში მისი უზრუნველყოფა. მოსახლეობის ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. პროფესიული ადამიანური რესურსების განვითარება, მოტივირება. გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები.პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება.იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა.იმუნოპროფილაქტიკაზე ანგარიშგება დადგენილი წესისი მიხედვით.იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუსავება,ნალიზი, შეფასება, დაზუსტება.ვაქცინათა და სხვა ასაცრელი მასალის ცივი ჯაჭვის საწიროების განსაზღვრა დაგეგმილი წესისი მიხედვით.იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა: ვაქცინათა და სხვა ასაცრელი მასალის მარაგის შექმნა, მოთხოვნა, კოორდინაცია რეგიონულ დონესთან.ვაქცინათა და სხვა ასაცრელი მასალის მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის პჯდ რგოლისთვის დადგენილი წესის მიხედვით." ცივი ჯაჭვის" ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანი ფაუნების შესწავლა/დადგენა. წყალსატევების პასპორტიზაცია, გადამტანების არსებობის დადგენა სეზონის განმავლობაში. პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა, მალარიის სკრინინგული კვლევა, სხვა პარაზიტული და ჰელმინთოზური დაავადებების სკრინინგი. საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, საგანმანათლებლო– სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა. ტუბერკულოზის, აივ ინფექციის/შიდსისა და C ჰეპატიტის დაავადებათა დაძლევის ყველაზე ეფექტურ გზად მიჩნეულია ადრეული გამოვლენა და მკურნალობა. C ჰეპატიტის, აივ/შიდსის, ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისა და მართვის სერვისების ინტეგრაცია პირველადი ჯანდაცვის ქსელში ეფექტიანობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით საყოველთაოდ აღიარებული სტრატეგიაა, რომელიც პაციენტს საშუალებას აძლევს " ერთი–ფანჯრის" პრინციპით მიიღოს ყველა საჭირო მომსახურება. ამ გზით შესაძლებელია სამივე მიმართულებით შემთხვევების მეტად აქტიური გამოვლენა და ასევე მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესება. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებები | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 06 01 02 | | 321,34 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით სამედიცინო დაწესებულებების მოწესრიგება, რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სასმელი წყლის რეზერვუარისათვის მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობის მოწყობა, სოფ. ლეჩურში და სოფ. ართანაში ახალი ამბულატორიების მოწყობა და სხვა ღონისძიებები. დაფინანსდება 2020 წელს გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით, სოფელ ნაფარეულში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობის სამუშაოების ანაზღაურება და სხვა.<br>მიზანი: ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 06 02 01 | | 36,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების, ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაცემას, ტრანსპორტირების ხარჯის უზრუნველსაყოფად. გასაცემი თანხის ოდენობა განისაზღვრება დასახლებების ზონირების შესაბამისად. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმპ შვილების სოციალური დაცვა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 06 02 02 01 | | 7.8 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა შ.შ.მ პირთა (18 წლამდე) შვილების დახმარება.<br>აღნიშნულ პროგრამით თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად გაიცემა თანხა 150 ლარის ოდენობით. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 06 02 02 02 | | 350,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიისჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მყოფი მოქალაქეებისათვის ზამთრის სეზონზე სათბობით უზრუნველყოფის ხელშწყობის მიზნით განხორციელდება მათი დაფინანსება. დაფინანსება ხდება აგვისტოს, სექტემბერის,ოქტომბერის,ნოემბერსა და დეკემბრის თვეში, წლის განმავლობაში.<br>- სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მყოფ მოქალაქეებზე რომელთა სარეიტინგო ქულა განისაზღვრება 1000 ქულიდან ზემოთ 100 000 ქულის ჩათვლით გაიცემა ფინანსური დახმარება 100 ლარის ოდენობით. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| | 06 02 03 | | 633,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის უმწეოთა და უპოვართა სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | თელავში მუნიციპალიტეტის მერიის უმწეოთა და უპოვართა სამსახური ემსახურება სოციალურად დაუცველ ბენეფიციარების ყოველდღიურად, დღეში ერთჯერ, საკვებით უზრუნველყოფას. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მარტოხელა ბენეფიციართა ბინაზე მომსახურებაც,რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ გადაადგილებას. გარდა აღნიშნულისა, უფასო კვებით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგი სტატუსის მქონე ადამიანებს:<br>შშმ სტატუსის მქონე ბავშვები და მათ ოჯახის წევრები, მრავალშვილიანი (სამი და მეტი შვილი)ოჯახები,მარტოხელა მარტოხელა მშობლები შვილებთან ერთად. მომსახურებით ასევე ისარგებლებენ მოქალაქეები,რომლებიც მონაწილეობენ ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის ,სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში".<br>ყოველთვიურად ხდება კვებით მოსარგებლე პირთა რაოდენობაში ცვლილებების შეტანა სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული სოციალურად დაუცველი ბენეფიციართა ბაზის და ადმინისტრაციული ერთეულებიდან მერის წარმომადგენელთა შუამდგომლობის საფუძველზე. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 06 02 04 | | 10.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ (სამაჩაბლო-აფხაზეთი) დევნილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობისთვის გაიცემა დახმარება 250 ლარის ოდენობით, ხოლო უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით- 500 ლარის ოდენობით.<br>ქვეპროგრამის მიზანია გარდაცვლილთა ოჯახების თანადგომა. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 06 02 05 | | 217,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000- 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს ორ თვეს, რომლის ფარგლებშიც თითოეულ ბავშვზე გაიცემა ყოველთვიური დაფინანსება 80 ლარის ოდენობით. ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახებზე დახმარება - გაიცემა თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახებზე წლის განმავლობაში ერჯერადად. ყოველ სოციალურად დაუცველ ოჯახზე , რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, პირველ ახალშობილზე გაიცემა ფინანსური დახმარება 200 ლარის ოდენობით, მეორე ახალშობილზე -250 ლარის ოდენობით, ორი ტყუპის დაბადების შემთხვევაში-400 ლარის ოდენობით, ხოლო სამი ტყუპის დაბადების შემთხვევაში 600 ლარის ოდენობით. მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ირიცხებიან თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია, თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად გაიცემა ფინანსური დახმარება 30 ლარის ოდენობით. ასევე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი მოწყვლადი ბავშვების და მათი ოჯახების მხარდაჭერა, ოჯახის საჭირო ნივთებით და სხვა, უზრუნველყოფის მიზნით (თანადაფინანსება).<br>ქვეპროგრამის მიზანია: სოციალურად დაუცველთა ოჯახებში ახალშობილთა დაბადებისას ერთჯერად ფინანსურ დახმარების, მრავალშვილიანი ოჯახებზე, სადაც 18 წლამდე ოთხი და მეტი ბავშვია თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურ ფინანსურ დახმარების გაწევა, აგრეთვე, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000- 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ვეტერანთა საზოგადოება | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| | 06 02 06 | | 4.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ვეტერანთა საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის ხელშეწყობა. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, კომუნალურ გადასახადებზე და თხევადი აირით დახმარების ღონისძიებები | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 06 02 07 | | 129,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | კომუნალურ (ელექტროენერგიის) გადასახადებზე დახმარების პროგრამით აღნიშნული პროგრამით მოსარგებლე კატეგორია:<br>თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შშმ პირები, დევნილები,შშ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები,უდედმამო ბავშვები,მარტოხელა მშობლები, მარჩენალდაკარგული ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები,საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა მარჩენალდაკარგული ოჯახები,მრავალშვილიანი ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტი შვილი და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს.<br>გაზიფიცირების გარეშე არსებულ დასახლებებში მცხოვრები ოჯახების თხევადი აირით დახმარების ქვეპროგრამით განხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში (თეთრიწყლები, კობაძე, პანტიანი, სეროდანი, ნადიკვარი, ლეჩური) მუდვივად მცხოვრები 149 ოჯახის თხევადი გაზით დახმარება ყოველთვიურად თითოეულ ოჯახზე 15 ლიტრის ოდენობით.<br>აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრთა შეუფერხებელი გადაადგილებისათვის გამოყოფილია ტრანსპორტი, რომელთა საშუალებითაც მთელი წლის განმავლობაში, სოფლებში, სადაც არ ხდება ტრანსპორტის რეგულარული მოძრაობა (განსაკუთრებით სასწავლო წლის პერიოდში) მთელი წლის განმავლობაში შესაძლებელი იყოს შეუფერხებლად და კომფორტულად გადაადგილება.<br>მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია თელავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახების ელექტროენერგიის გადასახადზე შეღავათით სარგებლობის ხელშეწყობა, თხევადი გაზით დახმარება, მოსახლეობის ტრანსპორტით ხელშეწყობა. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 06 02 08 | | 100,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამით მოსარგებელ კატეგორია: ოჯახებს ვისაც აქვთ საცხოვრებლად უვარგისი ბინები ან საერთოდ არ გააჩნიათ საცხოვრებელი. მოსარგებებლე კატეგორია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებილი სოციალურად დაუცველი ოჯახები, ძალადობის მსხვერპლი პირები,მარტოხელა მშობლები, მრავალშვილიანი ოჯახები,შშმ პირთა ოჯახები, პირები, რომლებიც გასული არიან სახელმწიფოს ზრუნვიდან. აღნიშნული კატეგორია დაფინანსდება თვეში 100 ლარის ფარგლებში.<br>მიზანი: პროგრამით მოსარგებელ კატეგორიის უზრუნველყოფილა გარკვეული დროით თავშესაფრით | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 06 02 09 | | 40.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სასაჩუქრე ამანათების ან/და ფულადი თანხების გაცემა, ასევე სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობა. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ : მრავალშვილიანი ოჯახები სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია დარომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს,უდედმამო ბავშვები, 100 წელა გადაცილებული მოხუცები, შშმ პირები, შშ სტატუსის მქონე ბავშვები,ომის მონაწილეები, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა 18 წლამდე ასაკის შვილები, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულთა და დაღუპულთა ოჯახები, იძულებით გადაადგილებული პირები,სოციალურად დაუცველი ოჯახები,მარტოხელა მშობლები ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები, მარჩენალდაკარგული ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები და ახალშობილთა ოჯახები.<br>მიზანი: პროგრამით მოსარგებლე კატეგორიისათვის საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე მატერიალური მხარდაჭერა |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 06 02 10 | | 1224,43 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონკოლოგიურ პაციენტთა (ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პირთა) სამედიცინო მომსახურეობის და მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსებას. სარგებლობა შეუძლიათ ონკოლოგიური დავაადების მქონე იმ პირებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ან ირიცხებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ფაქტიური საცხოვრებელი არის თელავის მუნიციპალიტეტი. ასეთ პაციენტთათვის პროგრამით გათვალისწინებული იქნება ლიმიტირებული თანხა 1500 ლარი, რომელიც წლის განმავლობაში შესაძლებელი იქნება გამოყენებული იქნას სხვადსხვა სახის სამედიცინო მომსახურეობის და მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დასაფინანსებლად. პროგრამა ითვალისწინებს ასევე ბენეფიციართა სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფას, დახმარების მიმღებ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ის პირები, რომელთაც ფაქტიური საცხოვრებელი აქვთ თელავის მუნიციპალიტეტი და მათი მოქმედი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა მშობლები, მარჩენალდაკარგულები, მკვეთრი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და იძულებით გადაადგილებული პირები და 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულები. დაფინანსება მოხდება 300 ლარის ფარგლებში 100%-ით. პროგრამა ითვალისწინებს, როგორც ოპერაციული, ისე სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურეობის, მათ შორის რეაბილიტაციის და სხვადასხვა სადიაგნოსტიკო ღონისძიებების განხორციელების თანადაფინანსებას მიმღებ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ის პირები, რომელთაც ფაქტიური საცხოვრებელი აქვთ თელავის მუნიციპალიტეტი და მათი მოქმედი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა მშობელი, მკვეთრად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, მარჩენალდაკარგული, იძულებით გადაადგილებული პირები და 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულები. სამედიცინო მომსახურეობის დაფინანსება მოხდება პაციენტის მხრიდან გადასახდელი თანხის 80%-ით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს. ხოლო თუ პაციენტის მხრიდან გადასახდელი თანხა აღემატება 4000 ლარს დაფინასდეს 1500 ლარით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ასევე სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი მოზარდების სტომატოლოგიური მომსახურების დაფინანსებას. პროგრამის ბენეფიციარები არიან სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი მოზარდები, კერძოდ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები.<br>მიზანი: პროგრამით მოსარგებლე კატეგორიის მედიკამენტების და მკურნალობის თანადაფინანსებით/დაფინანსებით უზრუნველყოფა. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 06 02 11 | | 80,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შ.შ.მ.პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხარჯების თანადაფინანსება, აღნიშნულის ფარგლებში ხორციელდება ააიპ „ალტერ ეგო"-ს მიერ განსახორციელებელი პროექტის, თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილი ასაკის შშმ პირებისათვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა და მათი შემდგომში დასაქმების ხელშეწყობა სარეაბილიტაციო მომსახურების - დაცული სახელოსნოს მომსახურების ამოქმედების თანადაფინანსება, საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციის მიერ განსახორციელებელი პროექტის, შშმ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამის, თანადაფინანსება. ქვეპროგრამით განხორციელდება აგრეთვე მკურნალობის დაფინანსება სმენადაქვეითებული ბავშვების ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის პროცესში სმენისა და მეტყველების გაუმჯობესებისათვის, ასევე აუტისტური სპექტრის, ცერებრული დამბლის, დაუნის სინდრომის, ქცევის დარღვევის და განვითარების სხვადასხვა დარღვევების მქონე ბავშვებთან სოციალური კომპეტენციის, ემოციური ბალანსის, სხეულის | | |

| | |
|---|---|
| | აღქმის, კონცენტრაციის უნარის, ენისა და მეტყველების,მსხვილი და ნატიფი მოტორიკის გასაუმჯობესებლად ნორდოფ-რობინსის მეთოდით, რომელიც მიზნად ისახავს მუსიკის საშუალებით ბავშვებთან კომუნიკაციის დამყარებას, უნარების განვიტარებას, ქცევის მართვას, ემოციური რეგულაციების გაუმჯობესებას. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია აგრეთვე თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის სმენადაქვეითებული/კოხრეალური იმპლანტის მომხმარებელ ბავშვთა შიდა იმპლანტზე მიმაგრებული გარე მეტყველების პროცესორის ღირებულების თანადაფინანსებას. თანადაფინანსების ოდენობა თითოეულ ბენეფიციარზე განისაზღვრება 10,000 ლარით.<br>მიზანი: აღნიშნული კატეგორიის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარება | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 06 02 14 | | 1,8 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებული პირების ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას -150 ლარის ოდენობით. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საქართველოს წითელი ჯვრის თანადაფინანსება | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 06 02 15 | | 11,3 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | "საქმიანობათა ცენტრი თელავში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის" განახორციელებს დაუცველი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმულებისა და ახალგაზრდების სოციალურ მხარდაჭერას დღის ცენტრის მომსახურებისა და ბინაზე მოვლის სერვისის მიწოდებით. ასევე, უსაფრთხო თემების განვითარების ხელშეწყობა, კატასტროფების რისკების შემცირებით, ჯანდაცვაზე და სოციალურ კეთილდღეობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით<br>მიზანი: უსაფრთხო თემების განვითარების ხელშეწყობა, კატასტროფების რისკების შემცირებით, ჯანდაცვაზე და სოციალურ კეთილდღეობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით. | | |

## 6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულბებების (სესხები) მომსახურება. პრიორიტეტი ასევე ითვალისწინებს ა(ა)იპ კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთის დაფინანსებას.

| კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა | 2021 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|
| | | სულ | სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსავლები |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 4641.05 | 0.00 | 4641.05 |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა | 4282.15 | 0.00 | 4282.15 |
| 01 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 928.82 | 0.00 | 928.82 |
| 01 01 02 | მუნიციპალიტეტის მერია | 3218.33 | 0.00 | 3218.33 |
| 01 01 03 | სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური | 135.00 | 0.00 | 135.00 |

| კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა | 2021 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|
| | | სულ | სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსავლები |
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 358.90 | 0.00 | 358.90 |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | 50.00 | 0.00 | 50.00 |
| 01 02 03 | მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა | 258.90 | 0.00 | 258.90 |
| 01 02 04 | ა(ა)იპ კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთი | 50.00 | 0.00 | 50.00 |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთი | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| | 01 02 04 | | 50,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | „ვიზით კახეთი“-ს საქმიანობის მიმართულებებია:<br>• მდგრადი განვითარების ტურიზმის პრინციპებზე დაყრდნობით რეგიონისათვის უნიკალური ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურებების შემუშავება, რაც სარგებელს მოუტანს ადგილობრივ მოსახლეობას და კახეთის ბუნებრივის და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას შეუწყობს ხელს;<br>• რეგიონის იმიჯის ხელშეწყობა როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოსაზიდად;<br>• ტურიზმის პოპულარიზება რეგიონში - ტურისტული აქტივობებისა და მიმართულებების მხარდასაჭერად, „ვიზით კახეთი“ მოახდენს რეგიონის პოპულარიზებისაკენ მიმართული აქტივობების კოორდინირებას, ხელს შეუწყობს ახალი ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურებების შექნას;<br>• ვიზიტორთა დანახარჯების და ვიზიტების ხანგრძლივობის ზრდა და სხვა | | |

## მუხლი 14. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

| კოდი | თელავის მუნიციპალიტეტი | 2019 წლის ფაქტი | | | 2020 წლის ფაქტი | | | 2021 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსავლები | სულ | სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსავლები | სულ | სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსავლები |
| 1.00 | სულ ჯამი | 32100.60 | 9397.77 | 22702.83 | 35269.38 | 11809.16 | 23460.21 | 43003.75 | 9499.20 | 33504.54 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 214.00 | 0.00 | 214.00 | 228.00 | 0.00 | 228.00 | 228.00 | 0.00 | 228.00 |
| | ხარჯები | 18845.99 | 1370.00 | 17475.99 | 21817.68 | 4650.31 | 17167.37 | 26096.15 | 3324.96 | 22771.19 |
| | შრომის ანაზღაურება | 2594.95 | 0.00 | 2594.95 | 2479.75 | 0.00 | 2479.75 | 2927.00 | 0.00 | 2927.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 4722.48 | 543.36 | 4179.12 | 4317.16 | 236.76 | 4080.40 | 5676.57 | 119.00 | 5557.57 |
| | პროცენტი | 108.25 | 0.00 | 108.25 | 94.62 | 0.00 | 94.62 | 135.60 | 0.00 | 135.60 |
| | სუბსიდიები | 8302.76 | 0.00 | 8302.76 | 7808.02 | 0.00 | 7808.02 | 10184.26 | 0.00 | 10184.26 |
| | გრანტები | 135.06 | 0.00 | 135.06 | 87.33 | 0.00 | 87.33 | 118.38 | 0.00 | 118.38 |

| კოდი | თელავის მუნიციპალიტეტი | 2019 წლის ფაქტი | | | 2020 წლის ფაქტი | | | 2021 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსავლები | სულ | სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსავლები | სულ | სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსავლები |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 1428.93 | 0.00 | 1428.93 | 1553.85 | 0.00 | 1553.85 | 2042.33 | 0.00 | 2042.33 |
| | სხვა ხარჯები | 1553.56 | 826.64 | 726.92 | 5476.95 | 4413.54 | 1063.40 | 5012.02 | 3205.96 | 1806.06 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 12858.96 | 8027.77 | 4831.19 | 13101.39 | 7158.86 | 5942.53 | 16784.29 | 6174.24 | 10610.05 |
| | ვალდებულებების კლება | 395.65 | 0.00 | 395.65 | 350.31 | 0.00 | 350.31 | 123.30 | 0.00 | 123.30 |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 4382.42 | 0.00 | 4382.42 | 4096.61 | 0.00 | 4096.61 | 4641.05 | 0.00 | 4641.05 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 214.00 | 0.00 | 214.00 | 228.00 | 0.00 | 228.00 | 228.00 | 0.00 | 228.00 |
| | ხარჯები | 3859.22 | 0.00 | 3859.22 | 3551.71 | 0.00 | 3551.71 | 4339.97 | 0.00 | 4339.97 |
| | შრომის ანაზღაურება | 2594.95 | 0.00 | 2594.95 | 2479.75 | 0.00 | 2479.75 | 2927.00 | 0.00 | 2927.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 925.06 | 0.00 | 925.06 | 789.16 | 0.00 | 789.16 | 1058.90 | 0.00 | 1058.90 |
| | პროცენტი | 108.25 | 0.00 | 108.25 | 94.62 | 0.00 | 94.62 | 135.60 | 0.00 | 135.60 |
| | გრანტები | 80.00 | 0.00 | 80.00 | 83.92 | 0.00 | 83.92 | 50.00 | 0.00 | 50.00 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 54.94 | 0.00 | 54.94 | 32.83 | 0.00 | 32.83 | 40.00 | 0.00 | 40.00 |
| | სხვა ხარჯები | 96.02 | 0.00 | 96.02 | 71.44 | 0.00 | 71.44 | 128.47 | 0.00 | 128.47 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 127.55 | 0.00 | 127.55 | 194.59 | 0.00 | 194.59 | 177.78 | 0.00 | 177.78 |
| | ვალდებულებების კლება | 395.65 | 0.00 | 395.65 | 350.31 | 0.00 | 350.31 | 123.30 | 0.00 | 123.30 |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა | 3798.53 | 0.00 | 3798.53 | 3571.68 | 0.00 | 3571.68 | 4282.15 | 0.00 | 4282.15 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 214.00 | 0.00 | 214.00 | 228.00 | 0.00 | 228.00 | 228.00 | 0.00 | 228.00 |
| | ხარჯები | 3670.98 | 0.00 | 3670.98 | 3377.09 | 0.00 | 3377.09 | 4104.37 | 0.00 | 4104.37 |
| | შრომის ანაზღაურება | 2594.95 | 0.00 | 2594.95 | 2479.75 | 0.00 | 2479.75 | 2927.00 | 0.00 | 2927.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 925.06 | 0.00 | 925.06 | 789.16 | 0.00 | 789.16 | 1008.90 | 0.00 | 1008.90 |
| | გრანტები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 3.9 | 0.0 | 3.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 54.94 | 0.00 | 54.94 | 32.83 | 0.00 | 32.83 | 40.00 | 0.00 | 40.00 |
| | სხვა ხარჯები | 96.02 | 0.00 | 96.02 | 71.44 | 0.00 | 71.44 | 128.47 | 0.00 | 128.47 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 127.55 | 0.00 | 127.55 | 194.59 | 0.00 | 194.59 | 177.78 | 0.00 | 177.78 |

| კოდი | თელავის მუნიციპალიტეტი | 2019 წლის ფაქტი | | | 2020 წლის ფაქტი | | | 2021 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსავლები | სულ | სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსავლები | სულ | სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსავლები |
| 01 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 880.69 | 0.00 | 880.69 | 801.89 | 0.00 | 801.89 | 928.82 | 0.00 | 928.82 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 32.00 | | 32.00 | 32.00 | | 32.00 | 32.00 | | 32.00 |
| | ხარჯები | 869.07 | 0.00 | 869.07 | 801.89 | 0.00 | 801.89 | 913.82 | 0.00 | 913.82 |
| | შრომის ანაზღაურება | 554.21 | 0.00 | 554.21 | 541.39 | 0.00 | 541.39 | 561.00 | 0.00 | 561.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 221.29 | 0.00 | 221.29 | 194.96 | 0.00 | 194.96 | 268.50 | 0.00 | 268.50 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0.78 | 0.00 | 0.78 | 0.38 | 0.00 | 0.38 | 3.00 | 0.00 | 3.00 |
| | სხვა ხარჯები | 92.79 | 0.00 | 92.79 | 65.16 | 0.00 | 65.16 | 81.32 | 0.00 | 81.32 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 11.62 | 0.00 | 11.62 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 15.00 | 0.00 | 15.00 |
| 01 01 02 | მუნიციპალიტეტის მერია | 2804.48 | 0.00 | 2804.48 | 2656.49 | 0.00 | 2656.49 | 3218.33 | 0.00 | 3218.33 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 173.00 | | 173.00 | 187.00 | | 187.00 | 187.00 | | 187.00 |
| | ხარჯები | 2688.55 | 0.00 | 2688.55 | 2463.04 | 0.00 | 2463.04 | 3057.05 | 0.00 | 3057.05 |
| | შრომის ანაზღაურება | 1948.81 | 0.00 | 1948.81 | 1848.60 | 0.00 | 1848.60 | 2263.90 | 0.00 | 2263.90 |
| | საქონელი და მომსახურება | 683.18 | 0.00 | 683.18 | 571.80 | 0.00 | 571.80 | 711.00 | 0.00 | 711.00 |
| | გრანტები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 3.9 | 0.0 | 3.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 53.33 | 0.00 | 53.33 | 32.44 | 0.00 | 32.44 | 35.00 | 0.00 | 35.00 |
| | სხვა ხარჯები | 3.23 | 0.00 | 3.23 | 6.28 | 0.00 | 6.28 | 47.15 | 0.00 | 47.15 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 115.93 | 0.00 | 115.93 | 193.44 | 0.00 | 193.44 | 161.28 | 0.00 | 161.28 |
| 01 01 03 | სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური | 113.35 | 0.00 | 113.35 | 113.30 | 0.00 | 113.298 | 135.00 | 0.00 | 135.00 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 9.00 | | 9.00 | 9.00 | | 9.00 | 9.00 | | 9.00 |
| | ხარჯები | 113.35 | 0.00 | 113.35 | 112.15 | 0.00 | 112.15 | 133.50 | 0.00 | 133.50 |
| | შრომის ანაზღაურება | 91.93 | 0.00 | 91.93 | 89.76 | 0.00 | 89.76 | 102.10 | 0.00 | 102.10 |
